დიდტანოვანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის პროექტი

თარიღი: 29.11.2023
მისამართი: ქალქი თბილისი, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა და N33

საკ.კოდი: 01.12.02.007.077
დამკვეთი: შპს „ვი.ვი.ენ კომპანი“ ID ნომერი:406126133

ზოგადი ნაწილი

აღნიშნული ხე-ნცენარე გადაირგვება დამკვეთის მიერ მითითებულ და დენდროლოგიური პროექტით გათვალისწინებულ ადგილებში, იმავე საკადასტრო ერთეულებში (N 01.12.02.007.077). აღნიშნული ხე-მცენარე წარმოადგენენ დიდ ტანოვან ხეს (D>25სმ-ზე) და მასი გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ სპეცტექნიკის გამოყენებით და შესაბამისი აგრონომიული ღონისძიებების გათვალისწინებით. გადარგვა უნდა მოხდეს უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.

დიდ ტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის ზოგადი მეთოდოლოგიური აღწერა

ხე-მცენარის ამოღება:

1. დიდი ზომის (D -ი მეტია 25სმ-ზე) ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.
2. ხის ირგვლივ მიწის მოთხრა და კომის გამოყოფა ნიადაგიდან უნდა მოხდეს სპეცტექნიკის (ექსკავატორი ან სხვ.) საშუალებით. ხის ფიქსირება სპეცტექნიკის მუშაობისას და შემდეგ მისი ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ჩაბმის ადგილზე ხეს უნდა შემოეხვიოს სქლად ჯვალოს ტილო.
3. ამოღებული ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე არანაკლებ 1 -1,7 მ. - ის.
4. ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
5. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით; მიწის გუნდას გარეთ გამოსული ფესვები საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიკვეცოს.
6. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);
7. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე აკეთებენ სპეციალურ შალითას, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;

ხე-მცენარის გადარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე წინასწარ უნდა იქნას ამოღებული ორმო;
2. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
4. ნარგავი უნდა დაირგოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველთან მინიმუმ 3 მ დაშორებით.
5. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; თითოეულ ორმოში წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).

7. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
8. ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი,) ან გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.
10. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
11. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
12. წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).
13. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
14. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა სჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.
8. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
9. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ - დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
10. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები. მოვლა-პატრონობის სამუშაოები უნდა ჩატარდეს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.

დიდტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია

1. N 18 - თელა D = 32 სმ

ფოთლოვანი ხის, N18 თელა (D=32 სმ) გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად. გადარგვა უნდა მოხდეს ნიადაგის გუნდით (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 10-მაგი ოდენობის , სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის და 15-20 კგ. ორგანული სასუქის შეტანა; ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით; ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, მცენარე დაიბას და გამაგრდეს თოკით 3 მხრიდან, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.
გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, სატვირთო ავტომობილი.



ხე-მცენარეთა მოჭრა-გადარგვის სქემა



ლეგენდა	შენიშვნა
გადარგული ხე-მცენარე	
მოსაჭრელი ხე-მცენარე	მოსაჭრელია 12 ძირი ხე-მცენარე: ზეხმელი 7 ძირი (№ 3,4,5,6,8,21,22), ხილ-კენკროვანი 1 ძირი (№23); ბუჩქი 4 ძირი (№1, 2, 24, 25)
გადასარგავი ხე-მცენარე	გადასარგავია 13 ძირი ხე-მცენარე (№ 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20)

ი/მ "გიორგი ჭივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 20 სექტემბერი 2023 წ.

მისამართი:

ქალქი თბილისი, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა და N33

საკ.კოდი:

01.12.02.007.077

ფართობი:

1491.00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შპს „ვი.ვი.ენ კომპანი“ ID ნომერი:406126133

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა. აღწერა -შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ცხრილი№1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ასკილი-Rosa	ბუჩქი	1სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება მოჭრას.
2	მაყვალი-Rubus fruticosus	ბუჩქი	1სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას გახარებით.
3	თელა-Ulmus	ხე	10სმ	ზეხმელი	ექვემდებარება მოჭრას.
4	თელა-Ulmus	ხე	22სმ.	ზეხმელი	ექვემდებარება მოჭრას.
5	თელა-Ulmus	ხე	12სმ.	ზეხმელი	ექვემდებარება მოჭრას.
6	თელა-Ulmus	ხე	10სმ.	ზეხმელი	ექვემდებარება მოჭრას.
7	თელა-Ulmus	ხე	5სმ.	ჯანსაღი	
8	თელა-Ulmus	ხე	16სმ.	ზეხმელი	ექვემდებარება მოჭრას.
9	თელა-Ulmus	ხე	10სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას.
10	თელა-Ulmus	ხე	10სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას.
11	თელა-Ulmus	ხე	16სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას.
12	თელა-Ulmus	ხე	15სმ.	ჯანასღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას.
13	თელა-Ulmus	ხე	7სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას.

14	თელა-Ulmus	ხე	8სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარება ს.
15	თელა-Ulmus	ხე	9სმ.	ჯანსაღი	ორკაპი, ექვემდებარება გადარგვა/გახარება ს.
16	თელა-Ulmus	ხე	7სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარება ს.
17	თელა-Ulmus	ხე	22სმ.	ჯანსაღი	სამკაპი, ექვემდებარება გადარგვა/გახარება ს.
18	თელა-Ulmus	ხე	32სმ.	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა-გახარება სპეც ტექნიკით.
19	თელა-Ulmus	ხე	7სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარება ს.
20	თელა-Ulmus	ხე	14სმ.	ჯანსაღი	ორკაპი, ექვემდებარება გადარგვა/გახარება ს.
21	თელა-Ulmus	ხე	14სმ.	ზეხმელი	ექვემდებარება მოჭრას.
22	თელა-Ulmus	ხე	10სმ.	ხმობადი	
23	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	12სმ.	ჯანსაღი	მრავლობით ამონაყრით, ხილ-კენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
24	მაყვალი-Rubus fruticosus	ბუჩქი	1სმ.	ჯანსაღი	ჯგუფი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას გახარებით.

25	მაყვალი-Rubus fruticosus	ბუჩქი	1სმ.	ჯანსაღი	ჯგუფი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას გახარებით.

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების საერთო რაოდენობა :25

1. ხილ-კენკროვანი ხე-მცენარე რომლის დაიმეტრი არ აღემატება 12 სმ, მისი მოჭრა და გადარგვა არ საჭიროებს ნებართვას უფლებამოსილი ორგანოდან, სულ 3 ძირი:

3ძირი(№2; 24; 25)- მაყვალი-(Rubus fruticosus)

2. ხილ-კენკროვანი ხე-მცენარე რომლის დაიმეტრი აღემატება 12 სმ და მეტს, მათი მოჭრა და გადარგვა საჭიროებს ნებართვას უფლებამოსილი ორგანოდან, სულ 1 ძირი:

1ძირი(№23)- ტყემალი-(Prúnus cerasiféra)

3.იაფი მერქნითი ღირებულების ხე-მცენარეები, სულ 14 ძირი:

14ძირი(№7; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 22)- თელა-(Ulmus)

4.იაფი მერქნითი ღირებულების ბუჩქი, სულ 1 ძირი:

1ძირი(№1)- ასკილი-(Rosa)

4. ზეხმელი, სულ 6 ძირი:

ნძირი(№ 3; 4; 5; 6; 8; 21;)- თელა-(Ulmus)

ექსპერტი: 

გიორგი ტივაძე.


1


2


3


4


5


7


6


8


9


10


11


12


13


14


15


16


17


18


19


20


21


22


23


24


25

წერილის ნომერი: **18-0123271997**
თარიღი: **28/09/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01232653213
წერილის თარიღი:	22 სექტემბერი, 2023
განმცხადებელი:	პაატა გუგუშვილი
განაცხადის N	AR1991191
მისამართი	ქ. თბილისი, დავით ნიშნიანიძის ქუჩა #33ა და #33
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.12.02.007.077
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა ფოტოსურათები
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „შშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 29-ე, 30-ე, 35-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება, დაინტერესებულმა პირმა საჭიროა წარმოადგინოს **ტოპო.გეგმა,** რომელზეც უნდა დაიტანოს, როგორც საპროექტო ობიექტის სქემა (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი), ასევე, მწვანე ნარგავები საექსპერტო დასკვნის ნუმერაციის მიხედვით და საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის დაშორების მანძილები, წერილობითი ინფორმაცია გადასარგავი/მოსაჭრელი მწვანე ნარგავების შესახებ (ნუმერაციის მითითებით).

საპროექტო შენობასა და ხეებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებს 3 მეტრი, ხოლო საპროექტო შენობასა და ბუჩქებს შორის მანძილი 1,5 მეტრი.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ეზოს კეთილმოწყობის, ხაზოვანი ნაგებობის და მისასვლელი გზის არეალში, განმცხადებელმა ხის შტამბის გარშემო უნდა გაითვალისწინოს მინიმუმ ერთი მეტრი მანძილი (ბუჩქოვანის შემთხვევაში, არანაკლებ 70 სმ), მითითებული პარამეტრები უნდა აისახოს შესაბამის ტოპო.გეგმაზე.

აქვე მოგახსენებთ, რომ **დასაკორექტირებელია საექსპერტო დასკვნაც,** კერძოდ: უფლებამოსილი პირის მიერ უნდა მიეთითოს დასაბუთებული არგუმენტაცია, მწვანე ნარგავების **გადარგვისა და გახარების შესაძლებლობის** თაობაზე, ასევე, წარმოსადგენია **#5** მწვანე ნარგავის **ფოტოსურათი.**

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01233203222**
თარიღი: **16/11/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01233143500
წერილის თარიღი:	10 ნოემბერი, 2023
განმცხადებელი:	პაატა გუგუშვილი
განაცხადის N	AR1991191
მისამართი	ქ. თბილისი, დავით ნიშნიანიძის ქუჩა #33ა და #33
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.12.02.007.077
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ფოტოსურათები
დასკვნა: უარი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“ ქვეპუნქტები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის

გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5, 29-ე, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“ ქვეპუნქტები.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან, განმცხადებლის მიერ გადასარგავად მოთხოვნილი მწვანე ნარგავი დიდტანოვანი ეგზემპლარია, ზრდასრული, ჯანსაღი მცენარეა და მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება ეკოლოგიური ბალანსის დაცვის მიზნით, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, ბუნებრივი გარემოდან ამოღებამ და ახალ ნიადაგში გადატანამ შესაძლოა გამოიწვიოს სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტა, შესაბამისად, ***სამსახურს 1 ძირი მწვანე ნარგავის (თელა #18-32ხმ) მოჭრა/გადარგვა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.***

დაინტერესებულმა პირმა საპროექტო შენობა უნდა განათავსოს ისე, რომ დაცული იყოს დიდტანოვან მცენარემდე 3 მ-იანი მანძილი.

აქვე, დამატებით გაცნობებთ, რომ საექსპერტო დასკვნაში დასაზუსტებელია #22 მწვანე ნარგავის ფიზიკური მდგომარეობის და გადარგვის/გახარების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია (მითითებულია, რომ მცენარე არის ხმობადი და ექვემდებარება გადარგვას).

ამდენად, სამსახური მას შემდეგ დააფიქსირებს საბოლოო პოზიციას, როდესაც დაინტერესებული პირი, ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად დააკორექტირებს პროექტს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი